კოალიცია
დამოუკიდებელი
და გამჭვირვალე
მართლმსაჯულებისთვის

კოალიციის წევრები:

კონსტიტუციის 42-ე მუხლი
მრავალეროვანი საქართველო
სოლიდარობა უკანონო
პატიმრებს
საქართველოს მცირე და
საშუალო საწარმოთა
ასოციაცია
სამოქალაქო ინტეგრაციის
ფონდი
საქართველოს ადვოკატები
დამოუკიდებელი
პროფესიისათვის
ლიბერალი
კონსტიტუციური უფლებების
დაცვის ცენტრი
სამართლიანი არჩევნებისა და
დემოკრატიის საერთაშორისო
საზოგადოება
ასოციაცია მწვანე ტალღა
კავშირი "21-ე საუკუნე"
საქართველოს ახალგაზრდა
იურისტთა ასოციაცია
ადამიანის უფლებათა ცენტრი
საერთაშორისო
გამჭვირვალობა საქართველო
დემოკრატ მესხთა კავშირი
თავისუფლების ინსტიტუტი
საქართველოს ადვოკატთა
ასოციაცია
სამოქალაქო განვითარების
სააგენტო
საქართველოს გაეროს
ასოციაცია
ევროპის იურისტ
სტუდენტთა ასოციაცია
სამოქალაქო საზოგადოების
ინსტიტუტი
ფონდი ღია საზოგადოება
საქართველო
დემოკრატიის ინსტიტუტი
ამერიკის სავაჭრო პალატა
სამოქალაქო ინიციატივების
და დასაქმებულთა დაცვის
ასოციაცია
ევრაზიის თანამშრომლობის
ფონდი
ინფორმაციის თავისუფლების
განვითარების ინსტიტუტი
ადამიანის უფლებათა
პრიორიტეტი
თბილისის მედია კლუბი

საქართველოს პარლამენტის
თავმჯდომარეს
ბატონ დავით უსუფაშვილს

საქართველოს პარლამენტის
ადამიანის უფლებათა დაცვის და სამოქალაქო
ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარეს
ქალბატონ ეკა ბესელიას

ბატონო დავით და ქალბატონო ეკა,

კოალიცია დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისათვის მოგმართავთ ღია წერილით, რომელიც ეხება საქართველოს პარლამენტის ინიციატივას პოლიტპატიმრების საკითხის შესწავლის შესახებ. 2012 წლის 1 ნოემბერს საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტთან შეიქმნა პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულ და დევნილ პირთა საკითხთა შემსწავლელი სამუშაო ჯგუფი. აღნიშნული ჯგუფი დაკომპლექტებულ იქნა სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებისგან.

კოალიცია დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისათვის მიესალმება საქართველოს პარლამენტის ინიციატივას პოლიტპატიმრების საკითხის შესწავლის შესახებ და ამ პროცესში სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობას. მიგვაჩნია, რომ ამ პროცესის წამოწყება და სწორად წარმართვა უმნიშვნელოვანესია სამართლიანობის განსახორციელებლად.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს ეროვნული კანონმდებლობით ან სხვა სახის ქართული ოფიციალური დოკუმენტით, პოლიტპატიმრის დეფინიცია დადგენილი არ არის. თუმცა, მიმდინარე წელს ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ მიიღო რეზოლუცია №1900, რომლითაც დაადგინა პოლიტიკური პატიმრის დეფინიცია. საპარლამენტო ასამბლეა მოუწოდებს ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებს, რომ ყველა პოლიტიკური პატიმრის საქმე შეისწავლოს რეზოლუციით დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად. საქართველო არის ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფო, შესაბამისად იგი ვალდებულია შეასრულოს ევროპის საბჭოს მოთხოვნები და პოლიტპატიმრების საქმეთა შესწავლისას გაითვალისწინოს ზემოაღნიშნული რეზოლუცია. აქვე აღვნიშნავთ, რომ საპარლამენტო ასამბლეა ადგენს ხუთ ძირითად კრიტერიუმს, რომლის მიხედვითაც თავისუფლებააღკვეთილი პირი მიიჩნევა პოლიტპატიმრად.

სამუშაო ჯგუფის შექმნა მიუთითებს, რომ იმ ადამიანების გათავისუფლება, რომლებიც შეიძლება იყვნენ პოლიტიკური პატიმრები, ახალი ხელისუფლების ერთ-ერთი პრიორიტეტია. სწორედ ამიტომ, აუცილებელია პარლამენტმა საკითხის განხილვისას სამართლიანი და ობიექტური პროცედურები უზრუნველყოს, რათა საზოგადოებას ჰქონდეს განცდა, რომ სამართლიანობა აღსრულდა.

კოალიცია დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისათვის ეხმიანება მიმდინარე პროცესებს და საქართველოს პარლამენტს:

- მოუწოდებს უზრუნველყოს სამართლიანი პროცედურების არსებობა და არ დაუშვას შერჩევითი მართლმსაჯულება პოლიტიკური პატიმრის სტატუსის მინიჭების პროცესში;
- შეახსენებს, რომ საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, პოლიტპატიმრების საქმეთა შესწავლა მოახდინოს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად;
- მიმართავს თხოვნით, ინფორმაცია პოლიტპატიმრების გათავისუფლების პროცედურების შესახებ გახადოს უფრო ნათელი და საჯარო;
- წარმოადგინოს სამოქმედო გეგმა, ყოფილი პოლიტპატიმრების და იმ პირების რეაბილიტაციის მექანიზმების შესახებ, რომლებიც პატიმრობაში იმყოფებოდნენ პოლიტიკური მოტივებით.

კოალიციის სახელით:

დავით ასათიანი
თავმჯდომარე
კოალიცია დამოუკიდებელი და გამჭვირვალე
მართლმსაჯულებისათვის